კვირა 2 სექტემბერი 1928 წ. № 168 წლიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## ტარტაროზი და მობილიზაცია



განხდა სამხედრო გაწვევის ხმა და
მოსდის ტარტაროზს თავში ფიქრები:
„უიარაღოთ ხალხს რომ თავზარს ვსცემ,
მაშ, იარაღში რაღა ვიქნები?!“.

# კინტირია კიტრიკაპეიკიანიძე

— ესაა შენი „ზალშევიკები“, მშვიდობის მოყვარული ხალხიათ, რომ იჩემებდი? სასოწარკვეთილივით წამოისხა კიტრია კიტრი-კაპეიკიანიძემ ერთ აგვისტოს საღამოს, სახლში რომ დაბრუნდა თავისი ჩვეულებრივი „საღამოთ მაცოხნისაგან“: ლალიძის კაფემდე და იქიდან უკან—სახლამდის.

— რა იყო, რა ამბავია? ვინ გაგაჯავრა, ბოშო, არ მეტყვი?! შეეკითხა მას ამ ამბით ელდანაკრავი ჩიტიკე, კინტირიას მეუღლე.

— რა იყო და კაი უშველებელი მობილიზაცია „გამოაკრეს“ ამ საღამოს აგერ, კაცი რომ არაფერს არ მოელოდა, ისე....

— მობილიზაცია?!.. გაიოცა თავის მხრით ჩიტიკემ თავზე მანდილის სწორებით და იქვე ჩამოჯდა ფეხებმორყეულ სკამზე, შიშისა და გაოცებისაგან არაქათ გამოლეულივით, თუმცა ჩიტიკეს, როგორც ქალს მაინც და მაინც, არც კი ესმოდა კარგათ მობილიზაციის აზრი, და მნიშვნელობა. არ ესმოდა, იმიტომ კი არა, რომ რაიმე გამოცდილება არ ჰქონდა იმისი, არამედ იმიტომ, რომ ბევრი რამე წარსულის შესახები მეხსიერებიდან უკვე გამოფერფლილი ჰქონდა, როგორც საცერიდან უკანასკნელი ფქვილი, ხოლო ბევრ წარსულში გამოცდილ სიმწარეს შემდეგ იმდენი სხვა უფრო მძიმე უსიამოვნება გადაეფარა ზედ, რომ ის „შორეული წარსული“ ამ „ახლო უსიამოვნებებმა“ სრულიად დაჩრდილეს.

კიტრი-კაპეიკიანიძეები, როგორც გვარით გვეჩვენება, სოფლური ჩამომავლობისა იყვნენ, მაგრამ ქალაქშიაც იმდენადვე ფეხ-მოკიდებულები, რამდენადაც ეს მათი გვარის მეორე ნაწილს შეეფერებოდა... „საკიტრე“ სოფლის მეურნეობა და „საკაპეიკე“ ქალაქში ხელზე თუ ფეხზე ვაჭრობა—კინტირიას პროფესია შეადგენდა ამ თავიდანვე. საერთაშორისო ომმა ეს ხელობა კიდევ უფრო „დაბეჭდა“ და ჩამოაყალიბა კინტირიაში. „სპირტულთა ჩამოსულთა მოსკოვში“ — რომ იტყოდნენ, ამ ხმებთან შეგავშირებული საქმიანობა კინტირიას მიგნებული თუ არა, ყოველ შემთხვევაში კარგი „ნაცნობი“ მაინც იყო.

შემდეგ, ყველაფერი რომ აიარა კინტირიამაც შიგნით ყარა ფერთები, სანამ ზედ უკანასკნელ ბუმბულამდე არ შეაქუცეს ყველაფერი მისგან ამოთვალწუნებულმა „ზალშევიკებმა“..

სოფელში რომელიღაც კუდიან აზნაურისაგან „ტოროლში“ დარჩენილ მამულზე კინტირიას ბაღი, მოსავალი თუ შეროსული იმდენი მოეპვებოდა, რომ „მთელ ქალაქს აკვებდა“, როგორც მას უყვარდა ლაპარაკი.

ხოლო ქალაქში ელგა ერთ ომში გაწვეულ თუ, ომში გაწვევის შიშისა გამო, „გაქცეულ“ მოლინელ რომელიღაც ჩინოვნიკისაგან მცირე ფულში დაგირავებული, ხოლო შემდეგ „კანონიერი გზებით“ უკვე სრულიად მითვისებული სახლი. ეს სახლი უკანასკნელ ხანამდე, ასე ვსთქვათ, „არჩენდა“ კინტირიას და მის მეუღლეს. შვილი იმ თავიდანვე არ ჰყოლია კინტირიას, თუმცა ახალგაზრდა ვაჟები, ზოგი—მოსწავლეები, ხოლო ზოგი—ქალაქში სხვა რაიმე საქმეზე მყოფნი—ჩიტიკეს თითქმის გამოულეველად ეყენა ბინაზე და ქმარის მიხედვით, ესეც „ცხოვრბის გამოსარჩენს“ მისდევდა.

ჩიტიკეს ახლაც არ გაუგდია თავისი ხელობა, როცა კინტირიას სახლზეც შეაშობინეს და სოფელზედაც. ახლა ის დადიოდა რუსთაველის პროსპექტზე და ჩიტიკესათვის საკენკათ ცხელ-ცხელ ცნობებს ჰკრეფდა.

ამელამდელმა ამბავმა მაინცა და მაინც ძლიერ ასიამოვნეს ჩიტიკეს. მან სასწრაფოდ ლოგინი გაშალა და ახლად შენაცვლებსავით შიგ გაეხვია. კინტირიამ კი მხოლოდ სარტყლის შეხსნა მოასწრო, ისე, გაუხდელად გადაწოლართა „ქუშეტკაზე“.

საშინელი წარმოდგენები მოსვენებას არ აძლევდენ ცოლ-ქმარს. სამხედრო კომუნიზმის გამონაცვლები არ იყვენ, მაგრამ რასაც ამის შესახებ განაგონს იყვნენ, მათთვის შიშის საწყისად ისიც სავსებით საკმაო იყო.—ალბათ, ეს თავი მერეც სულ გაწყდება, გაუელვა პირველად კინტირიას უსიამოვნო აზრმა. ამას მიჰყვა სხვა დამთრისპო ამ შავბნელ ღამისთვის მშვიდობიანი მოსვენება...

ძილი, რომელიც ძალიან გვიან ეწვია მას, უფრო სულთამხუთავის ბორგვასა და ხრიალს წააგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ უდარდელ ხვრინვას. მისი გული ყოველ წამს ელოდა სიკვდილათა და აფეთქებათა ჯოჯოხეთს. ამიტომ, საკმაო იყო კუთხეში თაგვის გაჩუჩუნება, რომ კინტირია თითქმის ნახევარი მეტრის სიმაღლეზე შემხტარიყო. თაგვებიც თითქოს სწორედ განგებ ამ ღამეს იჩენდენ განსაკუთრებულ სიცხოველეს, თითქოს გამოცხადებული მობილიზაცია იმათაც შეეხო: წიწინებდენ, ჩუჩუნობდენ, ხტოდენ და მალაყებს გადადიოდენ... იმათ აყოლებული კინტრიაც ხტოდა თავის სარეცელზე, რეზინის ბურთივით, ან კიდევ საპენტ ბამბის კრინიკა ფითილებივით.

დილით ჩიტიკემ ადრე გამოჰყო თავი ქუჩაში. ფურნეში მან ყური მოჰკრა სიტყვებს: „საცდელი მობილიზაცია“-ო.

— ალბათ, ხალხს თუ სცდიან, შეტყობა უნდათ: ვინ არის მათი ერთგული და ვინ მტერი, რომ შემდეგ თეთრი



24 აგვისტოს, საღამოს, „სპირტეულთა“ ბატალიონების სასტიკი შემოტევის შემდეგ, ბრძოლის ველი“ მტკვრის პირას აოხრების საშინელ სურათს წარმოადგენდა...

პური მხოლოდ ერთგულებზე დაარიგონო — გაიფიქრა ჩიტიკემ, დაკავშირებით იმ ხმებთან, რომელიც თეთრი პურის მალე ბაზარზე გამოშვების ირგვლივ უკვე კაი ხანია ტრიალებდა....

— ადე, ბოშო, შენც გადი ქუჩაში, ხალხში შეერიე და ერთი ორი მთავრობის სასარგებლო სიტყვა შენც გადაისროლეო, — მიმართა შინ შემობრუნებულმა ჩიტიკემ ქმარს, რომელიც ჯერ კიდევ გულაღმა იწვა და ლუარსაბივით ჭერს მისჩერებოდა...

— რაა, გაიგე რამე თუ?

— როგორ თუ რაა, მთელი ქვეყანა ამოძრავებულია... „ხალხს სცდიანო“, ასე სთქვეს ფურნეში: მალე თეთრი პურის ცხობას დავიწყებთო... ალბათ, უნდათ გაიგონ: ვინაა მთავრობის ერთგული, რომ შემდეგ თეთრი პური მხოლოდ მათზე დაარიგონო. ადე, კაცო, ადე შენც გადაისროლე ერთი ორი „ანკესი“, არა უშავს: „ნალები დაგცვივა“!..

კინტირია ზმორებით წამოდგა, დაიბან-დაივარცხნა, ჩაიცვა და გასწია თავის „სამუშაოსაკენ“...

მიდის კინტირია და ფიქრობს: „მოდი და ხალა შენ გაარჩიე: ვისთან უნდა სთქვა ამ მთავრობის ძვირი და ვისთან — ქება“...

— რას ამბობ, დედაკაცო, რის თეთრი პური, რის ხლავი, რის ფლავი?!... ომი იქნება, ვაი არა აქვს შენს კინტრიას, ომი და... თუ გაუძელით, კიდეც გვეშველა, მგონი, რაღაც ისე შევნიშნე დღეს ქუჩაში ხალხის ლაპარაკს — ქაქანი მიუბრუნდა თავის ცოლს, მალე უკანვე შემობრუნებული კინტირია.

ნაშუადღევს კინტირიას აზრი უკვე შეეცვალა ორის გარემოებით: ქუჩებში უკვე თითქმის დილიდანვე ტევა არა ჰქონდა დიდუბისაკენ ამოძრავებულ ცხენებს და ეტლებს, ხოლო კოხტად დარაზმული გუნდები გაწვეულ მუშებისა და ხელოსნებისა წეროების ქარავნებივით მისდევდენ ერთი-მეორეს,

საღამოს კინტირიამ ისევ იცვალა აზრი ქუჩებში დაუბებულ შიშინ-შუშინის ზეგავლენით.

მეორე დღის აზრი პირველი დღისას აღარ ჰგავდა.

მესამე დღეს კიდევ უფრო შეაწუხა ალალ-ბედზე მიგდებულ საქარულასავით მერყევი ცოლ-ქმარი... გლეხთა გუნდები, ცხენები და ეტლები შორეულ სოფლებიდან ქუჩებს იკლებდენ: დგანდგარით, ჩიქჩიქით, სიმღერით და ჟივილ-ხივილით.

— ომია, აი, ნამდვილი ომია დაწყებული, მალავენ, თორემ... ფილოსოფოსობდა კინტრია...

— თეთრი პურისთვის გვცდიან, თორემ ჯერ შენც დაინახავ, — უჭრიდა ჩიტიკე.

მეხუთე დღეს ომის საფრთხე და შიში ისე გაფანტა, როგორც გაზაფხულის ქარმა — ზამთრის ღრუბელი.

კინტირია მოეშვა, ჩიტიკე ქმარს ქოქოლას აყრიდა, რითაც სახლიდან ძალაუნებურად სულ ქუჩისაკენ ერეკებოდა მას.

— ვაგლახად არაფერი წამოგცდეს, აი, ცუდი არაფერი სთქვა დღევანდელ მთავრობაზე, თორემ შემდეგ „მშვიდობით, თეთრო პურო“, — არიგებდა ჩიტიკე ქმარს.

კინტირია დადიოდა ფრთებ-ჩამოვარდნილი ბატივით და ქუჩაში მოსაუბრეთა ჯგუფებში გზა-დაბნეულ კუდახარივით ხან აქ თუ ხან იქ ეჩრებოდა: სადაც აქებდენ ჩატარებულ მობილიზაციას, იქ ისიც ფართოდ უშლიდა ტრაბახის გუდას თავს, ხოლო, სადაც ცუდად იხსენიებდენ განვლილ ამბებს, იქ ერთ-ორ სიტყვას კაჭკაჭივით ისიც ჩაჰკრავდა, მხოლოდ დიდის სიფრთხილით და ისიც გაათკეცებული დაკვირვების შემდეგ.

ოჯახში გამარჯვებულად თავს ჯერ-ჯერობით ჩიტეკე გრძნობდა და ქმარს წარა-მარა არცხვენდა თავისი მიუხდენარობისათვის.

მაგრამ... აი, საცდელი მობილიზაცია ჩატარდა, გავიდა დღე ორი, სამი და ჯერ-ჯერობით არც ჩიტიკეს ნაწინასწარმეტყველევი თეთრი პური სჩანდა ბაზარზე...

— სად არის შენი თეთრი პური, აბა სად არის მეთქი?!..

აყვედრიდა კინტრია ცოლს, თითქოს ეს უკანასკნელი ყოფილიყვეს შეგვიანების მიზეზი...

მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და სახაზო დუქნები მართლაც გამოიჭედა ბამბასავით რბილი და თეთრი შოთებით თუ „ვასკა პურებით“...

— აჰა, ხეთქე! დატანა ერთ დილით ფურნედან დაბრუნებულმა ჩიტიკემ ლოგინში ჯერ კიდევ მონებივრე კინტირიას მისამართით და თეთრი პურის ვეებერთელა ნაჭერი მაგიდაზე დასდო.

დარცხვენილმა კინტირიამ სანატრელ თეთრ პურს შორიდან ნდომით თეთრი კბილები ღრეჭით შემოანათა...

ხოლო ამის მოწამე ჩიტიკე კი ჰფიქრობდა ქმარზე: „აი, შენ წელკავიანო, შენა, კბილები, მართალია ასე თუ ისე თეთრი გაქვს; მაგრამ გული კი... გულში ისევ ჯოჯოხეთის მუგუზალივით ხარ გალურსული“-ო!...

ონისიმე.



25-ს ჰი, დილით, საცდელ მობილიზაციის სანიტარულ რაზმების მიერ „ბრძოლის ველი“ სავსებით გაწმენდილ იქნა მტრის შემოსევის ყოველი ნაშთისაგან...

# გადარეული ბორჯომში

## „ტარტაროზი“-ს რედაქციისაგან:

ამა წლის 18 ივლისს ამხანაგი გადარეული უგუნებოთ შეიქნა, როგორც იტყვიან „ხასიათი დაეკარგა“. დილიდანვე მის სახეს მოწყენილობა დაეტყო. იჯდა თავჩაქინდრული და ხმას არ იღებდა, მხოლოდ ხანდახან წამოიძახებდა ხოლმე: „გუნება—ბუნებაო“. გადარეულის ავადმყოფობა ყველასთვის ცხადი იყო. ეტყობოდა მასში ძლიერ სულიერ ტეხას ქონდა ადგილი.

„ტარტაროზი“-ს რედაქციამ მაშინვე მიიღო შესაფერი ზომები: მის ბინაზე შეგროვდენ ჩვენი რედაქციის კოლეგიის წევრები, თანამშრომლები და მრავალი მკითხველები. ხალხი ფეხზე იდგა, რადგან გადარეულის ბინაზე სკამი არ აღმოჩნდა.

დაუყონებლივ შესდგა „კონსილიუმი“ ამხ. ს. თ—იას, ონისიმეს, სინემატოს, ჰაზირას და წიწაკას შემადგენლობით. აგრეთვე გამოყოფილი იქნა სპეციალური კომისია ცნობილ პოეტ—მწერლების: ევგენი დვალის, დაისელის, ტ. გრანელის, ბოგდანოვ-ჩარხიშვილისა და სხვათა შე-



გადარეულის ბინაზე შეგროვდენ თანამშრომლები...

მადგენლობით; მოწვეული იყო კონსულტანტებათ მწერალთა შემდეგი ჯგუფები (წრამომადგენლები: „უმოქმედობის“, „არის ფინთების“, „ყლუნწიების“, „მარცხვენალების“, „ას ოც იანცების“ *), რომელთაც დაევალათ ამხ. გადარეულის უგუნებობის მიზეზების გამორკვევა. მთელი დღის განმავლობაში კომისიის წევრები თავებს იმტვრევდენ და შუბლებს იჭყლეტავდენ სალოკი თითებით, მაგრამ არ იქნა და ვერ გამოარკვიეს მიზეზი გადარეულის დანაღვლიანებისა. ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, გადარეულის ბინა სასაფლაოს წარმოადგენდა. გადარეულის მოწყენილობა თითქოს ყველას გადადებოდა, ამ დროს გაისმა ცნობილ, მეცნიერ პოეტის, ევგენი დვალის ბოხი ხმა:

„მოქალაქენო, გადარეულის უგუნებობის მიზეზი გამორკვეულია, მე თავიდანვე ვიცოდი, რაში იყო საქმე, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, მე მინდოდა ერთხელ კიდევ დამემტკიცებია ყველასათვის ჩემი გენიოსობა. მე მინდოდა თქვენც აგემუშავებიათ თქვენი გოგრები, თუმცა წინდაწინ ვიცოდი, რომ თქვენი აზროვნება დროს დაკარგვა იქნებოდა და მეტი არაფერი. გადარეულის უგუნებობის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მან არ იცის წრეულს გაგზავნილი იქნება თუ არა ის რომელიმე კურორტზე. ევგენის კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ტ. გრანელმა ვერ მოითმინა სიხარულისაგან და ხმა მაღლა დაიღრიალა:

„გაუმარჯოს ევგენ დვალს“,

„გაუმარჯოს, გაუმარჯოს!—

„გაუმარჯოს, გაუმარჯოს!— ისმოდა ხმები და ოთახი დაიფარა ტაშის გრიალით. იმ წუთშივე ტელეფონოგრამით აღძრულ იქნა შესაფერი შუამდგომლობა საკურორტო სამმართველოს წინაშე. რამდენიმე წუთის შემდეგ ამხანაგმა ფრანგულიანმა გვაცნობა, რომ შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნა და გადარეული უნდა გამგზავრებულიყო მეორე დღეს ბორჯომში.

ყველას აინტერესებდა თუ როგორ იმოქმედებდა ეს ცნობა ამხ. გადარეულზე და მართლაც გაიგო თუ არა მან, რომ ის ერთი თვით იგზავნებოდა ბორჯომში თვალები გაუბრწყინდა და ღიმილით გადახედა ყველას.

ევგენი დვალი მართალი აღმოჩნდა....

მეორე დღესვე 19 ივლისს, ამხ. გადარეული გაემგზავრა ბორჯომში, რომელსაც თან ახლდა მისი პირადი მდივანი ამხ. წიწაკა. გადარეულის ბორჯომში ყოფნის დროს ჩვენი მკითხველები დაჟინებით მოითხოვდენ მის შესახებ დაწვრილებით ცნობებს (მისი ჯანმრთელობის, გუნების, დროს ტარების და სხვა). სამწუხაროდ, დღემდე მათ მოთხოვნილებებს სავსებით ვერ ვაკმაყოფილებდით. დღეს კი საშუალება გვაქვს სრული ცნობები მივაწოდოთ მკითხველებს გადარეულის შესახებ მისი დღიურის გამოქვეყნების საშუალებით. დღიური საინტერესოა იმ მხრივ, რომ ის ეხება, როგორც მის პირად ცხოვრებას, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებასაც. ამ დღეებში გადარეული დაბრუნდება ტფილისში და შეუდგება „ტარტაროზი“-ს თანამშრომლობას, მისი ჯანმრთელობა აღდგენილია ასი პროცენტით.

**წ. შ.**

აქვე ვათავსებთ პოეტ—მეცნიერის ევგენი დვალის ღია წერილს რედაქციის მიმართ, რომელიც საინტერესოა იმ მხრივ, თუ როგორ დაუმსახურებლად ვიღაც ჭორიკანები ჩირქს სცხებენ მცხოვან საზოგადო მოღვაწეს და მეცნიერულ პოეზიის მამა-მთავარს საქართველოში ევგენი დვალს..

## „ტარტაროზი“-ს რედაქციას.

რუსთაველის პროსპექტზე გავრცელებული ჭორები, ვითომ მე წინდაწინ მცოდნოდეს გადარეულის უგუნებობის მიზეზი, ჩირქს მცხებს, როგორც მეცნიერს და პოეტს, ვაცხადებ, რომ ეს ჭორები ვრცელდება პირადი, მტრებისაგან, რომლებსაც სურს ჩემსა და გადარეულს შორის რაიმე ნათესაობა აღმოაჩინონ, რომ მით მეც გადარეულათ მომნათლონ. ტყუილი ამბავია; გადარეული, როგორც ვიცი გურული უნდა იყოს, მე კი „წმინდა სისხლის რაჭველი ვარ“. ნათქვამია ტყუილს მოკლე ფეხები აქვს,—ფუჭია მათი ოცნება. ჩემი სახელი მუდამ უკვდავი იქნება, როგორც შოთა რუსთაველის პარტიის დამაარსებლის, მეცნიერისა და პოეტის. რაც შეეხება იმას, თუ როგორ გამოვიკვლიე გადარეულის უგუნებობის მიზეზი ეს შეადგენს მეცნიერულ საიდუმლოებას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ის ნაყოფია იმ ფსიქოლოგიური და ლოღიკური სისტემისა, რომელიც მე მეკუთვნის მეცნიერებაში და ეწოდება დვალიზმი. ორიოდე სიტყვა იმ ორი სიტყვის შესახებაც, რომელსაც გადარეული ხშირად იმეორებდა „ბუნება—გუნება“. ეს ორი სიტყვა ლოღიკურ კავშირშია იმ სულიერ ტეხილთა, რომელსაც განიცდიდა გადარეული 18 ივლისს. ვინ არ იცის, რომ სიტყვა „გუნება“ ბუნებისაგან წარმოსდგება. ადამიანი, რომელიც მდიდარ ბუნების წიაღში სცხოვრობს, მუდამ მკვირცხალ-ხალისიან და მხიარულ გუნებაზეა.

წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთ ჩვენ, როცა ადამიანი ბუნების გარეშე სცხოვრობს. ასეთი ადამიანი მუდამ დაღვრემილია და შუბლშეკრული. მე ცხონებულ ზურ-

---

*) ას ოც იანცების“ ჯგუფის სახელწოდება წარმოსდგება ას ოც იანცელების, ანუ ამფორიაქებლებისაგან, რომლებიც ხსენებულ ჯგუფს შეადგენენ. იანცს გურიაში ამფორიაქებელს ეძახიან. ხსენებულ ჯგუფის მიერ მართლაც აფორიაქებულია ძველი მწერლობა.

გიელიძეს მუდამ ვეთანხმებოდი იმაში, რომ ზაფხულობრივ ტფილისში ცხოვრებას სჯობია კურორტზე ცხოვრება, ცხადია, ტფილისი ბუნებით ვერ დაიკვეხნის... ალბათ ამ გარემოებით აიხსნება, რომ ზაფხულობით ხდება ტფილისის „განტვირთვა“ მცხოვრებლებისაგან, რომლებიც მიემგზავრებიან სხვადასხვა ბუნებიან ადგილებზე. ასეთი განმარტების შემდეგ, მე ვფიქრობ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებიც დამეთანხმებიან იმაში, რომ ჩემი მეცნიერული მიდგომა ზემოხსენებულ ორი სიტყვის მიმართ სრული ჭეშმარიტებაა... მე სასტიკ პროტესტს ვაცხადებ ჭორიკანების წინააღმდეგ და მოუწოდებ საზოგადოებას გამოუცხადოს მათ სასტიკი ბრძოლა.

პატივცემით პოეტი—მეცნიერი ევგენი დვალი (ქვეყნის თვალი).

## ჩემი დღიური

20 ივლისი. დღეს ბორჯომში ვარ. ტფილისიდან ჩამოვედით წუხელის. ჩვენს წინ აჩრდილივით აეყუდა ვიღაც ახალგაზრდა ყმაწვილი.

— თქვენ ვინა ხართ,—მოგვმართა მან.

— ამხანაგი გადარეული და მე წიწაკა!—იყო წიწაკას პასუხი.

— გადარეული. ჰმ, ჩვენ ასეთ ხალხს არ ვლებულობთ.



გადარეული ბორჯომის სადგურზე

— თქვენ ვინა ხართ? — გაკვირვებით ეკითხება მას წიწაკა.

— საკურსამმის წარმომადგენელი.

— აა, საკურსამის, მაშ ინებე, — და წიწაკამ გაუწოდა მას საკურორტო სამმართველოს წიგნაკი.

— გადარეულებსაც გზავნიან.—ჩაილაპარაკა მან თავისთვის და წინ გაგვიძღვა.

ამ დიალოგის დროს, ვიღაც „ბოროტ გამზრახველს“ (უკეთ რომ ვსთქვათ, თავისთვის კეთილგამზრახველს) ჩემი „ჩემოდანიდან“ თეთრი ტუფლები ამოეცოცებია. ამ შემთხვევის გამო, ბევრი ვიცინე და კმაყოფილიც დავრჩი. მე ისიც მეყოფა, რომ კურორტზე გავატარებ ერთ თვეს, წამლები კი შეიძლება ფეხშიშველა იყო.

ხვალიდან აბაზანების მიღებას დავიწყებ.

ექიმების რჩევით მთვარის აბაზანებით უნდა დავიწყო ექიმობა.

**21 ივლისი.** მომათავსეს მეორე სანატორიუმში, რომელიც ამაყად გადაჰყურებს ბორჯომის ხეობას. ახ, რა თვალწარმტაცია ეს ბუნება. რომ შეიძლებოდეს გადავძახილოდა სიათა ქვეყნის პოეტებს: პოეტებო, ყველა ქვეყნისა, აქ შეერთდით. ახ, დედასა, ნეტავ ვიყო პოეტი, ისეთ ლექსს შევთხზავდი, რომ ევგენ დვალსაც კი მოეწონებოდა.

წინათ ეს შენობა (მეორე სანატორიუმის) ყოფილა; ყოფილ დიდ თავადის სერგიეს (სერგიე ერისთავი არავის ეგონოს), რომელიც ბორჯომს წელიწადში ორი კვირით ესტუმრებოდა თურმე და მის მიდამოებში ნადირობით ერთობოდა, როგორც ოთხფეხა, ისე „ორფეხა“ ცხოველებზე. რომ სერგიეი მონადირე ყოფილა ეს იქიდანა სჩანს, რომ ამ შენობის ოთახების კედლები მორთულია, ირმის რქებით, ისე რომ, აქ მყოფნი, თითქმის ყველა ნადირობის იშტაზე არიან. ნადირობენ კიდეც. ალბათ მეც ვინადირებ.

**22 ივლისი.** მივლიან ექიმები გრ-შ-გაბ, სან-უბირ, გიორ-ელ და ლენ-რუხ, მთავარი ექიმის ბაირონის ხელმძღვანელობით.

**23 ივლისი.** დღეს, საღამოს 7 საათზე, მთვარის აბაზანების მიღებამდის ბაღში დიდი ზეიმით დაარსდა ტუჩკავშირი („გუბსოუზ“), რომლის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა კოლა პირგულაძე. ფალიაშვილის ორკესტრმა შეასრულა ცნობილ დირიჟორის გელი-ძრიალის დირიჟორობით სიმფონია: „მთვარის აბაზანა“. პრველ პიანურზე უკრავდა თვით ივან პეტროვიჩი.

**24 ივლისი.** დღეს ჩავეწერე ტუჩკავშირში, რომლის წესდების თანახმად უნდა ვასრულებდე შემდეგ მოვალეობას:

1) დილიდან შუადღემდე ნადირობა, 2) შუადღიდან საღამომდის ტყეში „ჩრდილის აბაზანას“ მიღება., 3) საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე ბაღში ნადირობა, 4) ათ საათიდან „მთვარის აბაზანი“-ს მიღება; 5) ტუჩორკესტრში მონაწილეობის მიღება.

ტუჩორკესტრი დაარსებულია ტუჩკავშირთან, რომლის წევრები ვალდებული არიან ორკესტრშიაც უკრან რომელიმე ინსტრუმენტზე.

**25 ივლისი.** დღეს ვინადირე. დავიჭირე ერთი ხოხობი. ლამაზი ფრინველია. გალიაში მყავს. დღეს კარგ გუნებაზე ვარ. დავიწყე ლაპარაკი.

**26 ივლისი.** კვლავ უგუნებოთ შევიქენი. ხოხობი გამიფრინდა, გავიგე პირველ სანატორიუმში გადაფრენილა. იქ ახალგაზრდები დასდევნებიან, რომელთაც ხოხობის გულისათვის ერთმანეთში უსიამოვნება მოსვლიათ და ერთმანეთი დაუკაწრავთ. დღეს ნადირობდენ ექიმები, მაგრამ ხელცარიელი დაბრუნდენ, მათ შნო არ აქვთ ნადირობის. ცნობილი მონადირეა ტუჩკავშირის თავმჯდომარე კოლა. საღამოს შესდგა ექიმ გრიშა - გაბის კონცერტი. იმდენათ სასიამოვნო იყო მისი ხმა, რომ დილამდის არ დამძინებია მიუხედავათ იმისა, რომ ყურები ბამბით მქონდა დაგუბული.

**27 ივლისი.** დღეს ტბაში ვისეირნე. თან მახლდნენ ჩემი ექიმები სანდრო უბირაშვილი, გრიშა გაბუნაძე, ვალიკო ტალიანი, ტბაში წასვლა უაზრობათ მიმაჩნდა. ვამბობდი: „ტბაში ხომ გველებისა და ბაყაყების მეტი არაფერი იქნება საინტერესო მეთქი. მოვტყუვდი! ტბაში ტბა არ არის. ეს პატარა სააგარაკო ადგილია. როცა მივდიოდი გზაში „ხიფათს“ გადავეყარეთ. ტბისაკენ მიმავალი მატარებელი „კუკუშკა“-ს რომ ეძახიან ხაშურის მიმართულებით წავიდა. მატარებელი მიქროდა. გავშორდით ბორჯომს.

— არიქა, ჩამოვხტეთ! — დაუძახე მე თანამგზავრებს და ის იყო უნდა გადამვხტარიყავი, რომ ვაგონიდან მოვსხლტი და მატარებლის ქვეშ მოვყევი. პირალმა ვეგდე და ჩემს მუცელზე მისრიალებდენ ბორბლები. ცოტა მოშორებით მატარებელი გააჩერეს და ექიმები ნელა ჩამოვიდენ ვაგონებიდან. კიდეც მოვიდენ ჩემთან და მეც წამოვდექი...

— ნუ გეშინია! — მომაძახა ექიმმა ვალიკო ტალიანმა, მომვარდა გრიშ გაბ და გული გამისინჯა.

— არა უშავს, ცოტა მომატებულათ ფეთქს, მაგრამ შემთხვევაში გულმა ასე იცის.




ბალში ტუჩკავშირის გახსნა

ბორჯომში დავბრუნდით. ამ დროს დაიძრა ტბის-ყენ მიმავალი მატარებელი და ჩვენც არხეინად მივქრო-დით ტბისაკენ. როგორც გამოირკვა, სადგურ „ბორჯომ-ხევის" უფროსს დავთარი ასვროდა და ტბისაკენ მიმავა-ლი მატარებელი შეცდომით ხაშურისკენ გაეგზავნა.

**28 ივლისი 1 აგვისტო.** მეხუთე დღეა წვიმს. წახდა ნადირობის საქმე. ტუჩკავშირის თავმჯდომარემ კოლამ ნოტა გაუგზავნა წვიმას. ფიქრობენ ხვალ დარი იქნება. მეც მეხუთე დღეა სანატორიუმიდან არ გამოვსულვარ და ას ოცი საათი მძინავს.

**2 აგვისტო.** დღეს თავი ავიწონე, თავი კი არა მთელი სხეული... ათი დღის განმავლობაში ხუთი ფუთი მომა-ტებული ვარ. გამოდის, რომ დღეში ნახევარი ფუთი მემა-ტება.

ამჟამად ათი ფუთი ვარ. რომ ვიანგარიშოთ დანარ-ჩენ 20 დღის განმავლობაში 10 ფუთი მომემატება, ტფი-ლისში ვიქნები ოცი ფუთი. კარგი ამბავია, თქვენ ნუ მო-მიკვდებით. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ ჩემი გა-დაზიდვა ტფილისამდი ოთხჯერ მეტი დაჯდება, ვინემ ჩამოზიდვა დაჯდა.

— მომგვარეთ ადმინისტრაცია!—დავიყვირე მე.

ჩემს წინ სვეტებით დაესვენ: სანატორიუმის გამგე, ნიკო ყიფშიაშვილი, მნე და სამი თეთრ ხალათიანი ქალი (სამივე თამარა).

— მოქალაქე ყიფშიაშვილო!—მივმართე გამგეს,— თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მთავარი ექიმის ბაირონის აზ-რით, მე სისუქნე არ მომიხდება.

თქვენ ეს იცით, მაგრამ მაინც არ მეშვებით და დღე-ში ათჯერ მაჭმევთ; რას ნიშნავს ეს?—ვყვიროდი მე.

— რა ვქნა მოქალაქე გადარეულო, გინდათ თუ არა, უნდა ჭამოთ: ასეთია აქაური წესი.

— არ შემიძლია, ამდენის ჭამა, გაიგეთ.

ვღრიალებდი. ამ დროს კარი გაიღო და გამოჩნდა „ლა-კიროვანი" ტუფლებში მთავარი ექიმი ბაირონი. მან მა-შინვე გაიგო რაში იყო საქმე და მარცხენ: ყურში ჩამჩურ-ჩულა: „გამგე მართალია, შენს ულუფას რომ არ გადაყრის.



მთვარის აბაზანების მიღება

ჭამე, არა უშავს..; ხომ გაგიგონია: რასაც შესჭამ ის შეგრჩებაო“... მე დავმშვიდდი.

**3 აგვისტო.** ხვალ ტარტაროზს ველი. პოლიტიკურ საკითხებზე მექნება ბაასი. „გახურებული“ ნარდის თამაშია სანატორიუმში. ნარდის ჩემპიონობას ჩემულობს ექიმი გრიშ გაბ, რომელსაც შეუძლია 24 საათი ითამაშოს, ათ ხელში ერთ ხელს იგებს, „მალადეც გრიშა“-ს ეძახიან მას.

**4 აგვისტო.** ტარტაროზს სადგურზე დავხვდი. გადავეხვიეთ ერთმანეთს. ბორჯომი დაათვალიერა. მეც თან ვახლდი. საუცხოვო შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ტფი-



გადარეული 5 ფ.



გადარეულის კვება



გადარეული 19 ფ.

ლისში. ომის შესახებ გვქონდა ბაასი. ტარტაროზის აზრი გარკვეულია: იმპერიალისტური სახელმწიფოები ომს გვიმზადებენ. სულ ერთია: ომი იქნება—დაიღუპებიან, არ იქნება—მაინც დაიღუპებიან. ასეთია მისი აზრი.

თუ როდის უნდა იქნეს ომი, ამის შესახებაც ის გარკვეულათ ამბობს: შეიძლება ამ წელში, შეიძლება გაისათ, შეიძლება ორი, ხუთი, ათი და ასი წლების შემდეგ, შეიძლება ისიც რომ ომი ვერ მოასწრონო.

**5—18 აგვისტო.** 13 დღეა რაც უგუნებოთ ვართ. მიზეზი ორია: ერთი ის რომ ცხრამეტი ფუთი გავხდი და ძლივს დავიარები. ასე მგონია ნიადაგი ნაწვიმარი იყოს და ტალახიანი, ისე ვეფლები მიწაში. მეორე მიზეზი ის არის, როგორც ბაირონი ამბობს, რომ მე ზედმეტი მთვარის აბაზანა მიმიღია. მაგრამ, რაც უნდა მომივიდეს, ხვალ უნდა ავდგე და ტუჩკავშირის ყრილობას დავესწრო. მე დელეგატი ვარ მეორე სანატორიუმიდან.

**19 აგვისტო.** დღეს საღამოს, 7 საათზე, ბორჯომის ბაღში გაიხსნა სრულიად ბორჯომსა და მის რაიონების ტუჩკავშირის წევრთა საერთო ყრილობა, რომელსაც დაესწრენ დელეგატები ყველა სანატორიუმებიდან, დასასვენებელ და კერძო სახლებიდან და ლიკანიდან. სულ დაესწრო 1000 დელეგატი. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ექიმი ბაირონი. მოხსენება ტუჩკავშირის მუშაობის შესახებ გააკეთა კავშირის თავმჯდომარემ კოლამ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ტუჩკავშირის მუშაობა წრეულს თავის სიმაღლეზე აუყვანია. ადგილკომები თითქმის ყველა სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში არსებულა, კავშირს ჰყოლია 5000 წევრამდე. კავშირის მუშაობა მოისუსტებდა თურმე; მხოლოდ ლიკანში, საცა მთავრობის წევრები და პასუხისმგებელი მუშაკები არიან. ეს სამწუხარო მოვლენა იმით აიხსნება, რომ იქ თურმე პასუხისმგებელი პირები ამ კავშირის წინააღმდეგ უპასუხისმგებლო აგიტაციას ეწეოდენ. მაგალითად ფილ-მახს თურმე სასტიკად გაულაშქრია ამ კავშირის წინააღმდეგ. მიუხედავად ასეთი რეპრესიებისა ლიკანის ახალგაზრდობა მთლიანად ჩაწერილია ამ კავშირში. ყრილობა დაიხურა ღამის 2 საათზე. ორკესტრმა შეასრულა სიმფონია: „ტუჩ; ტუჩ“...

**20 აგვისტო.** ბორჯომიდან ტფილისში დავბრუნდი. თავს კარგათ ვგრძნობ, მოვიმატე 14 ფუთი, 39 გირვანქა.

ერთი რამ მაფიქრებს: მექნება თუ არა ნება ტრამვაიში ჯდომისა. ხვალიდანვე შევუდგები „ტარტაროზი“-ს თანამშრომლობას.

**გადარეული.**

---

# ამაღლება

(გურია)

„ვაუკაცმა“ გადინადირა სოფელი კოხტა, მზიანი,
„ტალახას“ ძირში მდებარე, კეკლუცი, თავაზიანი.
უწინ რომ ფოთში ბუქავდა, ჩაქვსაც ხომ წვენი ადინა,
აწ სავაჭროში, ვით ჩარჩი, რომ გაიჩინ მან ბინა.
გაიძვერულ მოქნილობით რომ არა ყავს იმას ტოლი,
ეცის კოხტათ გატყავება, არც დარჩება ტყავზე ქონი.
„ბაქარა“ და „სამფურცელავ“, „ბაიბურთი“ ოცდა ერთი“.
წინეთ მისი „საქმე“ იყო, სწყალობდა კიდეც ღმერთი.
უყვარს სხვისი დამცირება და სარჩულით ლაპარაკი,
მის სარკეში რა ჩახედო,—ნახო ხაგო, აგარაკი.
კოოპერატივს, გლეხკომს კაცი, ხომ არა სთვლის არცა ჩირად,
მეგობარიც მისი არის, ვინც რომ დადის იქა ძვირად.
გლეხი არის „კაცი“ ეგე, და გლეხების თვალის ჩინი,
არა ერთი გლეხის ზურგზე იყარა მან თვისი ჟინი.
თარიელის მემკვიდრეა, „ტარიელობს“ ეს „ლომ-კაცი“
გუშინ ვარდენ მასწავლებელს მოადინა ყბაში ტკაცი.

„ხუსეინ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლუკამ ჭამა შვებულება

მოანგარიშედ მსახურობდა
ხაპ-ტრესტში ლუკა,
დიდის წვა-დაგვით მოსდიოდა
მას პური, ლუკმა;



ჩაჰკირკიტებდა ჩოთქს და დავთარს,
ვით მიჯაჭვული,
და თვის ოციდან პურისათვის
სულ აკლდა ფული...
ერთი-ღა იყო ლუკას ხვედრის
შემმსუბუქები,
შორი იმედის სანატრელი
ტკბილი წუთები,
რომ წელიწადში თუთხმეტი დღე
ჰქონდა შვებისა,
როცა შესწყვეტდა იგი ჩოთქზე
ჩხაკუნს ქვებისა...
ემზადებოდა ამ დღისათვის
ო, რა რიგ ლუკა!
თითქმის მთელ თვით წინ თნევით ყელში
სდგებოდა ლუკმა,
მომხდარა ისიც, რომ წყლის წვეთიც
ჰკეტდა სასულეს!...
რა აჩქარებდა, მე არ ვიცი,
ასე ამ სულელს!...
განა, სუ ყველას ლუკასავით
ეჩქარებოდა?
იქ საექსპერტო კომისია
გვიან კრბებოდა:
საათის ერთზე, ხშირად—ორზე,
ზოგჯერ — სამზედა...
რამდენჯერ „ყვინთში“ შერხეულა
ლუკა სკამზედა,
და იატაკზეც მოულია ზოგჯერ
ბრაგვანი...
იქ შემოწმება კია, მაგრამ...
არის სხვაგვარი-...
ბოლოს მოვიდა ლუკას ჯერიც
და ლუკას ხვედრი:



დიდხანს უზილა მას ექიმმა
ბეჭი თუ მკერდი,
რაღაც ანიშნა მან სხვა ექიმს
და გადუგზავნა,



ამანაც სინჯა, მაგრამ სიტყვით
არ გაუმჟღლავნა,
ისე მისჩხრიკეს და მოსჩხრიკეს
რაღაც ქაღალდზე,
როცა მოსთელეს და მოჰქანცეს
მათ ლუკა ძალზე....



უკვე თოთხმეტში დაიწერა
შვების ქაღალდი.
ხვალ, თუთხმეტიდან, დავთარო და
ჩოთქო, ნახვამდის!...
მაგრამ... ეს მაგრამ სალაროა,
სხვა გვარად—„კასა“,
რომ სდგეხარ „კუდში“ და წინ გიდგას
ხალხის ზღვა—მასა...
ბოლოს როგორმე მიადგები
სალაროს კარსა,
მაგრამ, თუ ფული შიგ არ „ჭყავის“,
არც გაგცემს ხმასა....
ასე ერთ კვირას, ათ დღეს თუ მეტს
ეთრია ლუკა....



ბოლოს მოლარემ ხვედრი ფული
„გადმოუქუჩქა“....



ახლა ქალაქში ეცა „მუშკოპს“,
„ზაკტპოს“, ბოეცსა....
„სადაჩოთ“ ტანს ხომ რამე უნდა
მიეცვ—მოეცვა!...
ერთი ორი დღე თუ სამი დღეც
ამას შესწირა....
ახლა სამგზავრო ბილეთისთვის
სადგურს შესტირა...
ჯერ მან ამისთვის იქ ქალაქის
სადგურს უარა
და, ორიოდ დღემ ასე უქმად
რომ ჩაუარა,
ეცა ვოკზალს და ბარგით, ბარხნით
მიდის იერიშს!

ულონოდ ბილეთი იგდოს, თორემ
გულში არ გრძნობს შიშს!...
და მართლაც ბოლოს მიატანა
საბილეთემდე...
— ხურდა არა მაქვს—სწუხს მოლარე:
— ჩემს სინდისს ენდე!.
და შეირჩინა მან ლუკასგან
ორი აბაზი!
მაგრამ ბილეთით ხელში ლუკა
არ სწუხს ამაზე;
მას სხვა დაეცა გულში—ლახვრად
და თავში—მეხად,
მზად იყო კლდეზეც დარდისაგან
გადასარჩეხად:



კედლის კალენდარს გამოსხმოდა
უკვე **ოცდარვა!**
ფული რომ იყვეს, შეიძლება
მისი მოპარვა,
მაგრამ დღე რომ დღეს ისე მისდევს
ვით ქანი—ქანებს?!.
აქ ჩვენი ლუკაც სადგურიდან
გზას გადუგანებს,
და სამსახურში კვლავ ცხადდება
ის ოცდა ცხრაში!




ჩოთქსაც იამა და ზედ ქვებმაც
შემოჰკრეს ტაში!....

მაზირი.

# როგორ იომა ტატემ

— გამარჯობა, ტატე! საიდან მოდიხარ?

— ო! გაგიმარჯოს, ჩემო დათო! აი, აგერ ვიყავი ქალაქშია და, იცი, ჩხუბი იყო. ისეთი ჩხუბი, რომა, პა-პა-პა! ნამდვილი ვაინას გავდა, აი!...

— რა ჩხუბი, კაცოუ! რას როშავ! მართლა იყო?

— ჩემმა მზემ, მაშ! მართლა! ფრანცუზი, ანგლიჩნი და თათარიც ერია, აი! მერე არა მკითხავ, როგორი დავერიე! ჰე-ჰევი! სულ ბლვირი ავადინე მეც. მაშა!

— ტატე, მართალი თქვი გული ნუ გამიხეთქე, კაცო, თუ მართლა ჩხუბი იყო, მერე იცინი? რას იღრიჭები? მითხარი რაღა, სინამდვილე!..

— მაშ, კარგი. ყური მიგდე. გუშინ წინა, კაცო, სოფლიდან ქალაქში გავსწიეთ მე და ჩემმა დედაკაცმა ცოტა რაღაც საყიდელი მქონდა და საღამოს ისევ უნდა წამოვსულიყავით. ჩაველი სადგურზე თუ არა, იქვე კომპარტიასკენ გავეშურეთ საყიდლებზედა. მაგრამ ვხედავ, კაცო, დაკეტილია. მიკიტნებსაც დაეკეტათ და თავიანთ დუქნების წინ იდგნენ. ვხედავ, ჩემო დათუა, რომა რაღაც ეს ხალხი ქუჩაში გარბი-გამორბის, რაღაც ფაცურია ქუჩაში. დედაკაცი შეშინდა და მეკითხება: „კაცო, ე რა ამბავია, რომა ეს ხალხი ფეთიანებივით გარბი-გამორბიანო?“... სიმართლე გითხრა მეც ავიბენი. მიველი და ერთ ღიპიან მიკიტანსა ვკითხე: „ერთი მითხარ, გეთაყვა, რა ამბავია ქალაქში, ხომ მშვიდობა არის მეთქი? იმან ერთი გაიღრიჭა, ხელი ზედ ცხვირთან მომადო და ხრინწიანი ხმით დაიღრიალა: „ვაა! შენ გეძინაა? თუ მთვრალი ხარ? ხედავ, რომა, მტერი შემოგვესია და უნდა ამოგვწყვიტოსო, ბოლშევიკები სადაც არიან გაიქცევიანო!“ — ერთი კი ფერი მეცვალა, მაგრამ თანაც ვფიქრობ: ბიჭოს, ეს როგორ მოხდებოდა, კაცო: გუშინ არაფერი არავის უთქვამს ჩხუბზედა და ეხლა რომელი ჰაეროპლინით ჩამოვიდა ეს მტერი ასე მალე მეთქი. ნაღდათ მატყუილებს ეს ქოფაკი, ვიფიქრე, არ დაუჯერე. ესე ვდგევარ და ერთბაშად ვიღაცამ დაიყვირა: „არიქა თავს უშველეთ: მტერი მოვიდა, გაზს უშვებს, თავი შეიფარეთ სადმეო“... — კაცო! ნამდვილად სიზმარში ვარ მეთქი—ვამბობ— აქეთ-იქირ ვიმზირები, თვალებს კურო მოზვერივით ვაბრიალებ და კაცი არსად ჩანს, ვის უნდა გაეშვა გაზი, ვერა გავიგე! ჩემი ფეფელაც მომვარდა და... თავს ვუშველოთ, ტატე, ვიღუპებით... გაზი მოგვწამლავსო. მოვიხსენი ხელად ჩემი ხურჯინი, ვსტაცე დედაკაცს ხელი, ჩავაყოფინე თავი ხურჯინის ცალ ტოტში, აქ ისუნთქე მეთქი, ვუთხარი: გაზი არ მოგხვდება მეთქი; მეორეში კიდევ მე ჩავყავი ცხვირი. ვდგევართ ასე და ველოდებით სიკვდილსა. გავიხედე, მორბიან ვიღაცები, სულ ყვითლადთ-წითლად ჩაცმულები, ჯამის ოდენა თვალებიანი, არც ცხვირი აქვთ, არც პირი, არც თმა, არც ყურები... ვიფიქრე: ნამდვილათ ეს არის მტერი და მოვამზადე, რაც უნდა იყოს, ერთს მაინც დავჟეჟავ მეთქი. ერთი მომიახლოვდა თუ არა, რაღაცას მანიშნებს ხელით. ვთქვი: „ნამდვილათ გაზი უნდა უნდა მესროლოს მეთქი!... თავი ხურჯინიდან ამოვიღე, სუნთქვა შევიკარ,გავექნიე და ერთი მაგრა ჩავარტყი თავში, მოვიდა მეორე, ზრუგში რაღაც გიდელასავით წამოეკიდა, იმასაც ერთი იმისთანა ავადე, რომა „ვაი“ დაიყვირა. სწორეთ რომ გავმგელდი, გული მომეცა! ეხლა მესამეს მივდექ, ერთი სიტყვით, დავერიე ყველას. აპა, ჰაა! რომელი ხარ ვაჟკაცი, მოდით, უთოფოთ დაგიხეთქავთ მაგ ხარაბუზა თავებს მეთქი!... ფეფელაც მაქეზებს, არა: „დასცხე, ტატეჯან, დასცხე, მაგათ უნდათ ჩვენი ქვეყნის დაქცევაო!... ერთი მომვარდა გვერდიდან და მიყვირის: „წაიქეც, წაიქეცო“—რას როშამ მეთქი, როგორ თუ წავიქცე, სანამ სული მიდგანა, წაქცევა რას მიქვიან მეთქი და ერთი იმასაც მივაყოლე ლაზათიანათ.

ერდბაშათ გავიხედოთ, ეს ჩვენი მილიციონებიც არ მომესიენ! შემომესხენ გარსა და მაკავებენ: „დადექ, დადექ, გეყოფაო, — მეძახიან, — როგორ თუ დავდგე — ვეუბნები, განა, თქვენც მიღალატეთ, თქვე შერცხვენილებო მეთქი? ვღრიალებ — დაიცა, შე ოჯახქორო, ნუ დაგვამტვრიეო! — ერთი მომვარდა, აიხადა თავზე ჩამოფხატული და მეუბნება: „ამხანაგო, ეს ჩვენა ვართ! მართლა არ გეგონოს, ეხლა ჩვენ საცდელ ომს ვაკეთებთ, რომ ვინიცობაა, მტერი მოვიდეს, როგორ მოვიქცეთ, წინდაწინ უნდა ვიცოდეთ; მართლა არ გეგონოს: ეხლა არც გაზია და არც არავინ კვდებაო... სხვებიც გარს შემომეხვიენ, დგანან და იცინიან. შემრცხვა, ჩემო დათო, ისე, რომა გაზი რომ მომხვდენოდა, ისე არ მავნებდა, როგორც სირცხვილმა დამარეტიანა. მივხვდი ყველაფერს. მერმე გამახსენდა, რომ აკი შარშან ზაფხულში ჩვენ სოფელშიაც გააკეთეს მასეთი საცდელი ომი ახალგაზრდებმა, მე კი სულ არ გამახსენდა. წამოვედით მე და ფეფელო დარცხვენილნი, ტყვილა შემომელახა ის ხალხი, მაგრამ ამ შეცდომას სულ იმ მტრებზე ვიყრი, თუ ცოდვა გაუწყრათ და ოდესმე რამე მართლადაც გაბედეს, მაშა!...

— აი, ყოჩაღ, ჩემო ტატე. მაგ გეპატიება, როგორც ხუმრობა, მაგრამ, სამაგიეროთ, შემდეგში კი გამოგადგება!...

გაზი.

# მაღალი განდევილობა

ანგარის [illegible]
მთა-კორტოხზე კოხტათ,
სოფლით განდევილობა
შენი როგორ მოხდათ?!.



— მიშველეთ, ფოსტაში მინდოდა ასვლა ტარტაროზისთვის წერილი უნდა გამეგზავნა და შუა გზიდან კი თავქვე დავგორდი...

— არა უშავს, ჩვენ სულ ვგორაობთ, მაგრამ არ იქნა, ფოსტა იქიდან მაინც ვერ „დავაგორეთ“, რომ იმ კორტოხიდან დაბლა, სოფელში ჩამოგვეტანა...

## ანდაზის გაბითურება



ამბობენ: „ორი კურდღლის მდევარი ერთსაც ვერ დაიჭერსო". მე კი აგერ მთელი სამი კურდღელი მყავს გამოჭერილი და ვამბობ: „ნეტავი, მეოთხეც იყვეს-მეთქი!"..

## პატარა ჯიხაიში

ვანხოთ [illegible],
ხულიგანობას მიყო ხელი,
მცხოვრებლებს აღარ ასვენებს,
მთალად აიკლო ეს სოფელი.
რაც რომ ქონდა, გაათავა
ქეიფში დროს ტარებაში,
ყველას ლანძღავს, ვიც შეხვდება,
ღვინით მთვრალი გორავს გზაში.
კოოპერატივში ვნახე,
რომ გადახტა იგი დახლში,
ნოქარს უთხრა: ღვინო მომე,
თუ არ გინდა მოგხვდეს ყბაში!
ხომ იცი, მე რა ხოში მაქვს,
დოის უნდა ვსვა ამ დუქანში,
სანამ ორ სამ ბოთლს არ დავცლი,
ისე აღარ გავალ კარში.
ნოქარმა, რომ იუარა,
ვასო ეცა მარდათ წელში,
გაიმართა ჭიდაობა,
ერთ-ერთს მისწვდენ ხელით ყელში.
და ნოქარი მან როცა
წასაქცევად მოიმწყვდია,
ამას უყურებდა სანდრო,
კალაძე და ვალოდია.
ამით აღარ თავდება
მისი საქმე საგმიროთი,
მიქაძის ქვრივს რომ მიუხტა,
იყო მაშინ ალიონი
მოტაცება დაუპირა,
მაგრამ ვერ შეტეხა კარი,
შემდეგ სხვაგან მიაშურა:
სურდა დუდუჩავას ქალი!
იქ მეზობლებმა გაუგეს,
ასტეხეს აურ-ზაური,
ზოგი ქვას ესვრის ზოგიც სარს,
შეიქმნა დიდი ხმაური...
ასეთებს ის ხშირად სჩადის,
სურს ასე განვლოს ფონია..
ტარტაროზ, შენი ჩანგალი
იმას დაჩლონგდა, ჰგონია!.. *)

**ხანი.**

# მეტროჭიპი

(გაგრძელება, იხ. „ტარტაროზი" № 160)

### გამოსვლა 5.

იგინივე, მიკიჩა, კეკელა, ფაცია, სონია და ბარბალე.

(კეკელა მიდის გიგოსთან. ფაცია და სონია 1 და 2 ნოქრებთან. ბარბალე შორიდან უყურებს, თუ როდის მიაქცევენ ყურადღებას ნოქრები. მიკიჩა საქონელს ათვალიერებს).

კეკელა: მითხარი, პაჭალუსტა, რა ღირს პადვიაზკა?

გიგო: ოთხი აბაზი, ბატონო!

კეკ.: ვა, ასე ძვირათ, რატომ ჰყიდით?

გიგო: ხი, ხი, ხი! როგორა, ძვირია?! ძვირი კი არა, ეხლა ფასები დაკლებულია.

კეკელა: იი, დაკლებული კი არა, გადაკლებული, ნახევარი კაპიკი გინდ დაგიკლიათ, გინდ არა. ერთი მითხარი, შენ გაზდას, რამდენი მიაქვთ ხოლმე ერთ წყვილ „პადვიაზკისათვის"?!..

გიგო: მე რა ვიცი, ზოგს გძელი მიაქვს და ზოგს მოკლე!

კეკელა: ვა, მაინც რამდენი დამჭირდება, არ უნდა იცოდეს პრიკაშჩიკმა?!.

გიგო: (იცინის) ხი, ხი, ხი! მე რა ვიცი, რამსიგძე გინდა?

კეკელა: ხმა გაიქრე! მოჭერი ერთი სამი მეტრი და ვნახოთ: რაც გამოვა, გამოვა.

(გიგო შედის, ფარდა გადაფარებულ მის ოთახში პადვიაზკის მოსაჭრელათ).

ბარბალე: (მისწი-მოსწევს სონიას და ფაციას და თითონ წინ წადგება) არა, ამ ბარიშნებს, რომ იკურკურებით, მე აღარ მომხედავთ?

სონია: (ბარბალეს) უზრდელი!

ფაცია: ბრიყვი!

ბარბალე: ხმა გეიწყვიტეთ, თვარა იცოცხლოს ბარბალემ, მე თქვენ დაგინაყოთ ცხვირები.

სონია: ვის დაუნაყაუ, ვისა!?

ბარბალე: გაჩუმდი-თქვა, გელაპარაკები!

ფაცია: უსინდისო!

ბარბალე: (მივარდება და წვდება ორთავეს საყელოში). ვინ არის უსინდისო, ვინა?

სონია და ფაცია: გვიშველეთ, მილიციონერ, მილიციონერ!

მიკიჩა: (ჩავარდება შუაში) ვა, ვა, ვა! კაკ მოჟნა! გაგონილა ქალების ჩხუბი?

ბარბალე: (მიკიჩას) შენ რაღას ეჩხირები, შე გაბეჭრილო, შე მაიმუნო, შენა!

ნოქრები: მოითმინეთ, მოითმინეთ.

მიკიჩა: (გაჯავრებული) ჰა, ჰა, თორემ ხომ არ გინდა!

ბარბალე: რა მინდა, რა! ხმა გაიკმიდე, თორემ მაგ რუმბივით მუცელს ზედ შუაზე გაგიფხრეწავ!

მიკიჩა: ჰა, ეე! გაფხრეწაზე ნუ იქნება, თორემ ისე ვაგიფხრიწო, რომ ორმოცმა პარტნოვმა ველარ გაკეროს!

ნოქრები: მოითმინეთ, აქ ჩხუბი არ შეიძლება.

კეკელა: (მოაჭრევინებს პადვიაზკას და მიდის) უი, ქა? ეს რა ყოფილა! მეხი კი დავაყარე შენს ქალობას!

ბარბალე: რაიო, რაიო! შენც ენა ამოიდგი, შე ბოსტნის საფრთხობელავ? ხმა გეიქრე და გეიარე, თვარა ისე დაგამჟავო, რავარც კაპუსტო!

კეკელა: უი, უი, უი! ქალებში გამოწყდი შენ, ქალებში, აჰა! უყურეთ ამ ქალა-ბიჭას, რა ამბებშია!.. (მიდის).

ბარბალე: (შეუბღვერს და ცოტა წაიწევს) ხმა გეიქრე-თქვა, გელაპარაკები! (კეკელა გავარდება, სონია და ფაცია, რომლებიც აქამდე გულწასულნი ისხდნენ სკამზე და ნოქრები აბრუნებდენ, მოაჭრევინებენ საქონელს და გადიან) მომიჭერი ის ზოლიანი ჩითი!.

1 ნოქ. რამდენი მეტრო, ბატონო!

ბარბალე: (ხმა მაღლა) რვა, რვა! (ნოქარი უზომავს). უი, მეხი კი დავაყარე თქვენს კომპერატიას! ერთი მეტროს ყიდვა რავა გაგიჭირდათ, თქვე ცოდვის შვილებო! ემანდ ნაკლები არ იყოს, თვარა ცეცხლს წაგიკიდებთ.

1 ნოქარი: რა ვქნათ, ბატონო, „რეჟიმ-ეკანომია“ არისო და მეტრო აღარ გვიყიდა გამგემ.

ბარბალე: მეხი თქვენც დაგაყარეთ და თქვენს ეკონომიასაც! მომეცი ჩქარა. (გამოართმევს).

მიკიჩა: (მიმავალ ბარბალეს) ვა, ვა, ვა! დედაკაცი კი არა ნამდვილი ტახია, რაღა, უფლის მადლმა!

ბარბალე: (მიკიჩას სიტყვებზე შემობრუნდება) რაიო, რაიო, რა ბრძანეთ?

მიკიჩა: ვა, ვა, ვა, ვა!!.

ბარბალე: ვაი შენ და ქარცეცხლი!

მიკიჩა: ეე, ეე, ცოტა ჰკვიანათ, თორემ გავაფრინე, აი...

ბარბალე: რას მიზამ, რასა, შე ტყლიპიანო შენა! (დაეტაკება და გადის)

მიკიჩა: (2 ნოქარს) მოიტა, ძმაო, მოიტა ეგ ჩითი, ერთი მშვიდობით წავიდე აქედან! ეგ დედაკაცი კი არა, პულამეტრია მე და ჩემმა ღმერთმა! ვა, როგორ გერმანცკი ზარბაზანივით დამეტაკა. (გადის).

## გამოსვლა 6.

ნოქრები და ხუცესი.

ხუცესი: (შემოდის ძალზე გაჯავრებული. ხელში მის მიერ წაღებული საანაფორე უჭირავს) არა, ეს რა არის! აგია კოოპერატივი?

ნოქრები: რაშია საქმე, მამაო?!.

ხუცესი: რაშია და ამ ნაჭერს ორი მეტრო აკლია..

ნოქრები: როგორ თუ აკლია!

ხუცესი: შევარცხვინე ასეთი კოოპერატივი! შე კაცო, ერთი მეტრო რავა ვერ უნდა იყიდოს დაწესებულებამ!

1 ნოქარი: რა ვქნათ, ასტე ინება ჩვენმა გამგემ და არ გვიყიდა მეტრო.

ხუცესი: ღმერთმა თქვენც შეგარცხვინოთ და თქვენი გამგეც! არ მინდა თქვენი საქონელი, მომეცით ჩემი ფული!

2 ნოქარი: სხვა რამე წაიღეთ, ბატონო, ჩეკი გამოწერილია და უკან დაბრუნება აღარ შეიძლება.

ხუცესი: როგორ თუ არა შეიძლება! აპა. აგიც თქვენ გქონდეთ. (მიაგდებს ნაჭერს) მე კი მოვნახავ ადგილს და ჰასუხს გაგებიებთ. (მიდის) ეს ულაში კატის ბანალი იყოს, თუ, საცხა თავი გაქვთ, იქანა ფეხები არ დაგაკვეროვინო. (გაჯავრებული; კარებში ისეთი სიმძლავრით დაეტაკება რუსტამას, რომ ორივენი წაიქცევა) ვაი, შენი ოჯახი ამოაგდოს ღმერთმა, შე დონდლუზო შენა!

რუსტამი: დონდლუზი და შენა ხარ, ეშმაკი და შენა ხარ! მულლა, ქოფოიოლლი!

ხუცესი: ღმერთო, მიხსენი მე ბოროტისაგან! არა რა გინდა ჩემგან, ჩე ურჯულოვ?

რუსტამი: რა გინდა, რა გინდა! შენ რა გინდა, ქოფოიოლლი!

ხუცესი: (კარებში) წყეულიმც იყავ, შე ეშმაკის კერძო შენა!.

1 ნოქარი: ნუ ჯავრობ, რუსტამ, ნუ...

რუსტამ: (ჩაილაპარაკებს გაჯავრებული) მულლა ქოფოიოლლი!

(2 ნოქარს), ბიჟო, რა არის ეს?

2 ნოქარი: რა არის და ჩითია!

რუსტამ: ჩითი, ჩითი! მეც ვიზი, რომ ჩითია. მე შენთან შუდი მეტრო უთხარი და შენ ოქსი მოჟერი! შენთან ნამუსი არ არის? შენთან სურსხული არ არის? სად არის ხაზეინი?

2 ნოქარი: ჩვენ ხაზეინი არა გვყავს . ჩვენა გვყავს გამგე.

რუსტამა: სულ ერთია ჩემთუნ; რატომ მოჟერი ოქსი? ეშაკ ქოფოიოლლი!

2 ნოქარი: ნუ იგინები-თქვა, გელაპარაკები!.

რუსტამ: ქოფაკ ქოფოიოლლი!

1 ნოქ.: კიდო! —

რუსტ.: ზარმა! (ამ დროს შემოდიან: ფაცია, სონია და კეკელა. კეკელა მიდის გიგოსთან).

## გამოსვლა 7.

(იგინივე: ფაცია, სონია, და კეკელა).

ფაცია: (გაჯავრებული) ეს რა არის?!.

სონია: ეს რა ამბავია! —

ნოქრები: რაშია, ბატონო, საქმე?!

ფაცია (1 ნოქარს) კაი საზომი კი გქონია, შენმა სიცოცხლემ!

სონია: მოკლე მინახავს, მაგრამ ამნაირი მოკლე მეტრო, თქვენ რომა გქონიათ, არ გამიგონია!..

1 ნოქარი: რაა მოკლე, ბატონო, გაგვაგებინე! ..

სონია: რა და მეტრო. ამას სამი მეტრო აკლია. (აჩვენებს ნავაჭრს).

1 ნოქ.: ალბათ, აშიპკაში თუ მოვედით!

ფაცია: „აშიპკა“—რატომ სულ მოკლეა თქვენი მეტრო, რა უჭირს, რომ ერთხელ ჩვენსკენაც წამოვიდეს მეტი?

რუსტამ: ბიჟო, მე და მოგლე მომესი, შენთან სურსხული არ არის?

ფაცია: სად არის გამგე?

2 ნოქარი: მოვა, ბატონო, მოვა!

რუსტამ: მოვა, მოვა, როდის მოვა! ქოფოიოლლი!

სონია: (ფეხების ბრახუნით) გამგეს დაუძახე-თქვა — გამგეს! (ყვირილზე შემოდის გამგე).

გამგე: რა ამბავია, მოქალაქენო, რას ღელავთ!

სონია: რავა რას ვღელავთ! ფული მიკეცი, საქონელი მოვაჭრევინე და სამი მეტრო დამაკლეს.

რუსტამ: ჩემთან და ერთი მედრო მოპარეს. მე შუდი უთხარ, მაგან ოქსი მოგსა.

გამგე: (ნოქრებზე უჩვენებს) ამათ ქნეს ეს ამბავი!

სონია და ფაცია: დიახ, მაგათ!.

გამგე: (თათარს) შენც მოკლე მოგცეს?

რუსტამ: მე სახლში ზავიდა, გაზომა და ვალლა, ერთი მედრო მოგლე მოვიდა.

გამგე: (კეკელას გიგოზე აჩვენბეს) თქვენ ამ ნოქართან ივაჭრეთ?

კეკელა: დიახ, ბატონო!

გამგე: არაფერი დაუკლია?

კეკელა: არა, არა. მე სწორედ ზომაზე მომცა, რაც მინდოდა!

(დასასრული იქნება).

გოგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შავი უმადურობა

საფრანგეთში მოაზდინეს ცდები
დედაკაცის გასაახალგაზრდავებ-
ლად.
(გაზეთებიდან).



— დედი! ნუ გეშინია, მალე გაგაახალგაზრდავებენ,აი!..
მაა, რაო? განა, მე ჯერ ბებერი ვარ, შე არამზადავ?!.

# „პრიომიადა“

ათი დღეა ვდგავარ ნარკომპმსის კარზე.
მოლოდინში ბედის გავეკარი ჯვარზე.
ყოველ დილით არის ოჩერედი დიდი,
ვერ ილირსებ ნახვას, თუ ბიჭი ხარ, მიდი.
კანდელაკი ვნახე (ვიქტორი რომ არი!),
სთქვა: „მე არ მეხება, ნახე კომისარი!“..
სამჯერ დავდეგ რიგში კომისარის კართან;
მითხრეს: „არ ღებულობს“! არ გამიშვეს მასთა..
დამეკარგა რწმენა, დამეღრიჯა სახე,
„უპრავდელმა მითხრა: „გურგენიძე ნახე“!..
გურგენიძემ მითხრა: „ნახე მარიამი,
ეს მე არ მეხება, მისი საქმე არი“!.
ერთი კვირის შემდეგ, ვნახე მარიამი,
სავარძელში იჯდა, მომაწოდა სკამი.
მომისმინა, მითხრა: „ნახე გაბრიელი,
მან გაგხადოს იქნებ ბედის მადლიერი“...
თუმც არ იყო რიგი გაბრიელის კართან,
მაგრამ მანაც მითხრა: „წადი კომისართან!“.

ადრე ავდეგ დილით, როგორც კი ინათლა,
და დავდექი რიგში კომისარის კართან.
პირველ რიგში ვიდექ, ვით ბრინჯაოს სვეტი,
და მოვიდა უკვე საათის თორმეტი.
ვფიქრობ: სადაც არის, გამითენდეს უნდა,
მაგრამ ამ დროს ახლოს ზარიც არაწკუნდა...
გამოვიდა ვილაც ელპიტე თუ ქეთო
და სთქვა: „ნულარ იცდით: „დღეს პრიომა ნეტო!“
მეათე დღე არის, გამეფხიკა ჯიბე,
უსარგებლოდ ვტკეპნე დერეფანი, კიბე....
ისევ რიგში დგანან კომისარის კართან:
ვანო, პავლე, პეტრე, ელპიტე და მართა..
კაბინეტში რეკავს ტელეფონის ზარი,
იძახიან უკვე: „მოდის კომისარი!“.
პირველ რიგში მე ვარ, ვინ გამისწრებს მითხარ?
შევარდები ხელად, არავის არ ვკითხავ!..
მაგრამ ვაჰ, თუ ბედმა გამწიროს და მავნოს,
და იმანაც სადმე სხვასთან გამაგზავნოს?!..

მოსული.

# უმნიშვნელო დაბრკოლება




—დასწყევლოს ღმერთმა, თითქოს გამოცდებისათვის ყველაფერი უკვე მზად მქონდა: სურათი, მეტრიკა, ატესტატი, სიღარიბის მოწმობა... მხოლოთ ერთი-ღა დამავიწყდა..:

— რა?

მომზადება!..

# პასუხი ტარზანს

ვინც ტარზანს ყველაფერს უთმობს:
მძღოვრს, გულოვანს, ღონიერსა,
შენ კი, მუშკორთ შესარცხვენათ,
ყალბს უფრო ჰგავს და ცბიერსა.

—:—

რას ფიქრობდი, როცა სწერდი
სასადილო „მალამოზედ“?
როდის ნახე გარყვნილება:
დღით, ღამით თუ საღამოზე?!.

—:—

თქვენა სწერთ რომ, იქ არსებობს
გარყვნილი პროსტიტუცია?
ამის მთქმელი და დამწერი
ან ბრიყვი, ან ტუტუცია!..

—:—

ის, ვინც თეთრსა შავათ ხედავს,
მუშებს არქმევს ბნელსა ძალებს,
ეჭვით უმზერს შრომის შვილებს,
პატიოსან მუშა - ქალებს!...

—:—

ამისათვის პასუხს აგებ,
შენ ცრუ ლექსზე ან დღეს ან ხვალ.
დღის სინათლის და სიმართლეს
სად გაურბი, საით წახვალ?!.

—:—

საბუთები და კითხვები
გვაცნევს, რაც არის ტარზანი,
რაც იქ ხდება გამოჩნდება,
მას კი სიყალბის თავზარი!.

—:—

რედაქციას, ვთხოვ, დანიშნოს
გამოკვლევა უცბად, სწრაფად,
რეზულტატი გამოქვეყნდეს
ან პარასკევს ან და შაბათს!

კანტრალიორი გრიშა.

# ბ ა ხ მ ა რ ო

ტარტაროზ, ტანად მსუქანო,
ჩვენსავით არა-გამხმარო, —
წელს მაინც ჩვენსკენ წამოდი,
მოინახულე ბახმარო.
ჩავლადარს მისცემ რვა მანეთს,
შეჯდები გამხმარ ცხენზედა;
ბახვის-წყლის პირში დაგხვდებით,
ძლვენებს მოგართმევთ ძღვენზედა.

ცხენს ეძებს თვისი პატრონი,
მოივლის არე-მარესა;
მთებიდან მთებზე სირბილი
ოფლს ასხამს ტანზე, ცხარესა.
ცხენს წესი დაურღვევია
(მერე-და გამგის ბრძანება!)
ბალახს სძოვს მინდორს ტიალზე,
არ აქვს ამისი რა ნება!
მილიციას და ტყის მცველებს
ვინ შეედრება რიხშია!
ცხენები დაუჭერიათ,
ჩაუმწყვდევიათ ჩიხშია.
ხუთი მანეთი ჯარიმა
არც ისე მცირე ფულია:
ერთი დღის ნამუშევარი
ერთს წუთში დაკარგულია!..
„ჩემი რომ დაგიჭერიათ,
რად არ იჭირავთ სხვისაო“?
საკვირველია: სხვაზე მეტს
თუ ჩემი ცხენი სვრისაო?!“
პასუხად ხელად მიიღებს:
„ჩქარა ჩამოდი ფულიო,
„თორემ სიმშილით შენს ცხენსა
„აქ ამოხდება სულიო“..
ამ დროს კი ზოგი ცხენები
იქვე ბალახს სძოვს მწვანესა
მაგრამ ისინი სხვებსავით
ჩიხში ვერ წაიყვანესა, —
რადგან „დიდ-კაცთა“ ცხენია,
აქვს უფლება და მანდატი
(თავიდან ამ ბახმაროზე
იყო ასეთი ადათი!).— —

მოლარე ქალმა არ იცის,
ფულის დათვლა და მიღება
(წარმოიდგინეთ: არ იცის
სალარო როგორ იღება)
არ ვფიქრობთ სადმე „დიდებში“
არ ჰყავდეს მას პროტექცია,
თორემ ასეთებს არ გზავნის
უმუშევართა სექცია.
ეხლა, ფოსტას თუ იკითხავ,
ქე ამოაქვთ მზიან დარში,
მხოლოდ გაზეთს უმთავრესად
აგროვებენ ვაკი-ჯვარში.
წინ, ფოსტასთან საღამო-ჟამს,
სუყოველთვის „მიტინგია“.
ნემსის წვერსაც ვერ ჩააგდებ
ვერ თუ შიგ დინგია!
იძახიან ყველა გვარებს,
დაუღიათ ყველას ხახა,
და ზოგიერთი „უწნო გვარზე“
ხალხში ისმის: „ხა-ხა-ხა-ხა!“
და აქარვებს ამ დროს მრავალს:
„ოტკა“, ხაში თუ ნიორი...
ფოსტალიონს ვერ ედრება
გამოცდილი ჟანგლიორი;
გვარს კითხულობს და წერილებს
მტრედებსავით აფრენს ცაში...
(ვინც მიიღებს წერილს ან ფულს,
მოადუღოს უნდა ქაში!).

წიწმატი.

# სიზრმის ახსნა

## ტობანიერის თემისათვის (ქუთ. მაზრა)

1. სიზმარში წარმოკავშირში კარგი ვაჭრობა ნახო,—ნიშნავს: მეორე დღეს დაკეტილი იქნება, და თუ ღიაც იქნა, ხასიათმა თუ არ მისცა ნოქარს—ნიასარიძეს, ვერ მიიღებთ სიმინდს, დარიგება თუ დაიწყო და რაიმე პატარა ეწყინა, ხალხს დასტოვებს, დარიგებას შესწყვეტს და ჯოხით ხელში წითელ სასადილოსკენ წავა. თუ კარგი ნაზა ქუსკი ხართ, შეგიძლიათ დაუცადოთ, თორემ მისი მუშაობის დაწყებამდე გული წაგივათ სიმშილით.

2. სიზმარში ნახოთ—ტობანიერში დიდი ბაზრობა იყოს, ნიშნავს: ნახავთ მეორე დღეს ხსენებულ ნოქარს ნიასარიძეს ხალხი ბუზივით დაედევნება მოტირალებივით და დაუწყებს კითხვას: როდის მოგვცემთ პაიკის ფულს? როდის დაარიგებთ სიმინდს და სხვა. პასუხს მიიღებთ:... მაცათ, ბაბა, ჯერ დრო არა მაქვს, თქვენ ასი ხარ და მე ერთი, ნუ შემჭამთ“-ო.

3. სიზმარში რომ ექიმი ნახოთ, ნიშნავს: მეორე დღეს წარმოში იქნებით ამრეშუმის ფულის ან სიმინდის მისაღებათ, მუშაობის დროს ნოქარ ნიასარიძეს თავი ასტკივდება, წარმოკავშირიც დაიკეტება და გეტყვით: „ვერ გაუძელ, ბაბა, თავი მეტკინა, წადით სახლებში და ხვალ მოდითო“.

ცომბალი.

# ცნობათა მიღება

## იმერელ ემიგრანტს

შე კაი კაცო, ჩემბერლენს რომ ეპოტინები, ალბათ, ჯერ ლიხის გვირაბსაც არ გამოსცილებიხართ. ან ეს ჩვენი აზრი სწორია თქვენზე, ან მართლაც რომ ემიგრანტი ხართ. იქნება ინგლისური ენაც მშვენივრად იცით, ფრანგულზეც თავისუფლად ლაპარაკობთ, იტალიანურზეც; ესპანურზეც და ვინ იცის, კიდევ—რამდენზე. მხოლოდ ქართულ ენაში თუ მოიკოჭლებთ ცოტას, როგორც „ემიგრანტი“.

### „ჭ ი ტ ა“-ს

ბაღდადის მეკარტეთა შესახებ ჩვენ უკვე მოვათავსეთ ამას წინად. თქვენს ლექსში არის ახალი პიროვნებანი, მაგრამ საგანი მაინც ძველი რჩება, ისე, როგორც თქვენს ლექსში ხოლმე:

„ამხანაც მას თანაუგრძნობს,
ეს პარტიული „ძველია“,
დღე და ღამ კარტის თამაშით
ჯიბე გაუხდათ ხქელია“-ო.

და შემდეგ ეს ჯიბის გასქელება მშვენივრად გაქვთ დახატული:

„კარტი მანქვთად იყიდეს,
მოიჯერეს იმით გული,
თავნი ფული გაასწორეს,
კარტი დარჩათ მოგებული-“ო.

მაგრამ, აგანა, მარტო ეს? ჩვენს ყურადღებას აღარ ანგარიშობთ?!.

### ჩე—ჩე“-ს

ოთხ გვერდზე რომ გაგიჭიმავთ
თქვენი „ღარიბი შარადა“,
არ იქნა, ვერ მივა-ჩეჩე-თ
თეატრის დასამხარადა!..

### შ ა ლ დ უ რ ს

თქვენი მესტვირული კარგია, მაგრამ ნამეტანი გრძელი. მასში მოხსენიებული ამბები ისე ჩანან, ბორნის თოკზე რომ ქინძის მარცვლები ააცვათ. სწერეთ მოკლეთ და მკაფიოთ, მაგალითად, თქვენ რომ გიწერიათ თქვენს მესტვირულში:

„ჯერ ჩვენ შევიდეთ ქვედაში,
ქე რომ ვუძახით მაგრადას,
მისამართების გაგება,
ან თუ სხვა რამე მაგინდათ“-ო.

აქ, როგორც ხედავთ მართლაც ყველაფერი მოკლედ და მკაფიოთ არის მოჭრილი, სიტყვებიც ალმასივით მოკვეთილებია.

### ალა-ალა-ს

ტაბახმელას სადგურის ყოფილ ექიმის შესახებ ვწერთ ასე:

„ერთ დროს ამ სადგურში იყო
ვინმე ვაგან თევზიევი,
ეს სადგური მისთვის იყო
სალეჭავი „პაწა“ კევი“-ო.

მაგრამ „მღეჭელი“ კბილი მაინც მოუცვეთია „სალეჭავ“ კევს. ახლა თუ თევზიევი შორიდან ინტრიგას ეწევა, ავიღებდით და მოგვწერდით გარკვევით, თუ რაში იხატება ეს მისი ინტრიგა. ასე „ზეპირათ“ წერაც არ შეიძლება.

### კ ა ჟ ს

ჟურნალ „ტარტაროზი“-ს № 165-ში, გვერდი 5, მოთავსებული ლექსი, სათაურით: „სოფ. დვაბზუ, ოზ. მაზრა“, „კაჟი“-ს ხელმოწერით, არ ეხება მოქ. მოქ. შალვა გენძეხაძეს, ალექსი ცხომელიძეს, რისიმე ყაზაიშვილს, თინა, გუგული და ტანია ღლონტებს.

ნუ თუ არ იცით, რომ ჩვენ იუმკორთა ვინაობას არასდროს არ ვუმხელთ?!. ვისაც სადაო აქვს რამე, ჩვენთან იდაოს.

ტარტაროზის რედაქცია.

# „გრძელი“ და „მოკლე“



— რა ცუდი მოსახმარია ამ ქარში ეს „გრძელი“ ყაბა!...

— აბა, ქა, აგერ ეს ჩემი შლაპაც... ისედაც მოკლე „პოლიები“ მქონდა და ქარმა სულ მიმინგრ-მომინგრია!.. ხწორედ რომ არ გამოესვლება კაცს ამ ქარში..

# მწარე გამოცდილებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა




— მამილო, ა, მამილო!, რა არის ეს „უქსი“?!
— ჰმ!.. უძრავ ქონებათა სამმართველოა, შვილო! რასაც იქ შეიტან, შემდეგ ის უკვე ქვეყნის დარღვევამდე სულ უძრავათა ძევს!..

პოლიგრაფტრესტის მე-ნ-ე სტამბა, კამოს ქ. № 65